



საგანმანათლებლო პრეფერენციებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის
შეთავსებლობა

ტატინა სიჭინავა

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამა

მარიამ დარბაიძე

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: tatka_sichinava@mail.ru
mdarbaidze@yahoo.com

აბსტრაქტი

დღეს ქვეყნის ეკონომიკისა და საზოგადოებისთვის ერთ-ერთ თვალშისაცემ და გამოკვეთილ პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის საგანმანათლებლო პრეფერენციების შეუთავსებლობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. წლების განმავლობაში საქართველოში ადამიანები პროფესიულ არჩევანს სკოლის დამთავრებისთანავე აკეთებენ და ძირითადად, ეს არჩევანი უმაღლესი განათლების მიღებაზეა ორიენტირებული. სწორედ ეს არის ქვეყნის ერთ-ერთი პრობლემა, რომ უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა და უნარებისა და ამავდროულად ჩაბარებისას ადამიანები არ ითვალისწინებენ ან უბრალოდ უგულვებელყოფენ შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებას საკუთარი პრეფერენციებისა და პრესტიჟული ფაკულტეტებისა და პროფესიების სასარგებლოდ. გამოდის, რომ მოსახლეობა ორიენტირებულია არა დასაქმებაზე და ისეთი პროფესიის დაუფლებაზე, რომელიც შრომის ბაზარს სჭირდება, არამედ იმ პოპულარულ პროფესიებზე, რომელზეც ათასობით ადამიანი აბარებს ყოველ წელს და შედეგად კონკურენციის გამო, ხშირად მათი დიდი ნაწილი ამ პროფესიით ვერ საქმდება. ასეთ პირობებში ახალგაზრდას, რომელიც სკოლას ამთავრებს, ძალიან უჭირს პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება და ხშირად მთელი კულტურა, ოჯახი, გარემო აიძულებს ახალგაზრდას მიიღოს საზოგადოებისთვის მოსაწონი გადაწყვეტილება. უფრო მეტიც, ზოგჯერ ოჯახის წევრები პირდაპირ უთითებენ სკოლადამთავრებულებს, თუ როგორი პროფესიული არჩევანი გააკეთონ და რა არის მათთვის უმჯობესი. რატომ აკეთებენ ადამიანები მასობრივად არაპრაქტიკულ არჩევანს, რომელიც არ შეესაბამება არც მათ უნარ-ჩვევებსა და შესაძლებლობებს და არც მათ ნება-სურვილს. რატომ არსებობს საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მოსაზრება, რომ კოლეჯში სწავლა და პროფესიული განათლების მიღება არ არის პრესტიჟული და თუ კოლეჯში სწავლობ, „უდიპლომო“ ხარ, მაშინ ეს შენს დაბალ სოციალურ სტატუსს განაპირობებს საქართველოში. რატომაა აუცილებელი, რომ ადამიანს ჰქონდეს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დიპლომი, რომლითაც შესაძლოა ვერასოდეს ვერ დასაქმდეს შრომის ბაზარზე? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არის ჩვენი სტატიის მიზანი. ჩვენი აზრით, აღნიშნული ვითარება არის გამოწვეული სხვადასხვა მიზეზით. მათ შორის, მშობლის, მეგობრისა და სხვათა რჩევით, რომელთა აზრით, უმაღლესი განათლებით უფრო მარტივია დასაქმება. მათ ხშირად არ აქვთ წარმოდგენა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამასა და შესაძლებლობაზე და ა.შ. სწორედ საკითხის აქტუალობისა და მნიშვნელობის გამო გადავწყვიტეთ მისი კვლევა და აღნიშნული სტატიის დაწერა.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული სასწავლო დაწესებულებები, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, აბიტურიენტთა არჩევანი.

შესავალი

ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას შრომის ბაზრის არსებობა განაპირობებს. წარმატებულად ფუნქციონირებისთვის სახელმწიფოს სჭირდება განვითარებული, მოქმედი შრომის ბაზარი. შრომის ბაზარი ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია, ვინაიდან მისი მდგომარეობა დიდწილად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს ამ სისტემაში. ამავდროულად, იგი გავლენას ახდენს როგორც რეგიონის, ისე მთლიანად

სახელმწიფოს სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკაზე. შრომის ბაზარი - არის ადგილი, სადაც დასაქმებულები და დამსაქმებლები ურთიერთთანამშრომლობენ.

ბოლო პერიოდში შრომის ბაზარზე იკვეთება მოთხოვნისა და მიწოდების რღვევა. სწრაფად იზრდება უმაღლესი განათლების მიმღებ სტუდენტთა რიცხვი ბევრ ქვეყანაში. ეს თავის მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომის ბაზარზე.

უმაღლესი განათლების მქონეთა ასეთი ზრდა, ერთი მხრივ შესაძლოა დადებითად შეფასდეს, ვინაიდან განათლება მნიშვნელოვანია არამხოლოდ ინდივიდებისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის, თანაც არამარტო ეკონომიკური სარგებლის თვალსაზრისით, არამედ სოციალური პროგრესისა და საზოგადოების ცხოვრების სხვა ასპექტების განვითარების თვალსაზრისითაც, მაგალითად შემცირებული დანაშაული და სხვ. მაგრამ ყველა სიკეთესთან ერთად უმაღლესი განათლების მქონე პირთა ასეთმა ზრდამ წამოჭრა მთელი რიგი ახალი კითხვები. მაგალითად, ხომ არ არის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გადაჭარბებული რაოდენობა ბაზარზე? ხომ არ არის შეუსაბამობა სამუშაო ბაზარზე არსებულ ადგილებსა და კადრების კვალიფიკაციას შორის? სჭირდება კი შრომის ბაზარს ამდენი უმაღლესის კურსდამთავრებული? თავსებადია, თუ არა შრომის ბაზარი და განათლების სისტემა?

ბოლო პერიოდში უმაღლესი განათლების მქონე პირებს სულ უფრო უჭირთ სამუშაოს პოვნა. უნივერსიტეტში სწავლის დასრულების შემდეგ, მათ დროის გარკვეული პერიოდი ესაჭიროებათ, ვიდრე სამუშაოს იპოვიან. ამავდროულად რიგ სექტორებში აღინიშნება სამუშაო ძალის დეფიციტი. შესაბამისად შედეგად გვაქვს უმაღლესდამთავრებულთა უნარ-ჩვევების შეუსაბამობა სამუშაო მოთხოვნებთან.

აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა ახალი ტერმინები: „ზედმეტი განათლება“ (“overeducation”) და „არასათანადო განათლება“ (“undereducation”). პირველი ტერმინი ესადაგება ისეთ სიტუაციას, როდესაც ინდივიდს აქვს უფრო მაღალი კვალიფიკაცია, ვიდრე მოეთხოვება სამსახურში, ხოლო მეორე საპირისპირო ცნებაა.

უმაღლეს განათლებაზე ასეთი მზარდი მოთხოვნა ხელს უწყობს „გადაჭარბებული კვალიფიკაციის“ მქონე კადრების ჩამოყალიბებას, რომლებიც ვერ საქმდებიან საკუთარი კვალიფიკაციით, ან საერთოდ უმუშევრები რჩებიან. შრომის ბაზარი მჭიდრო კავშირშია განათლების სისტემასთან. შესაბამისად ისახება „არასწორი განათლების“ პრობლემა.

ამავდროულად აღსანიშნავია ისიც, რომ რომელიმე დარგში უმაღლესი განათლება არ გულისხმობს იმ კონკრეტული და სპეციფიკური უნარ-ჩვევების ქონას, რომლებსაც მოითხოვენ დამსაქმებლები. ზოგიერთი მოსაზრებით, საშუალო განათლება უფრო ღირებულია დღევანდელი ბაზრისთვის, ვიდრე უმაღლესი, რადგან ის უკეთ პასუხობს ეკონომიკურ და სექტორულ ცვლილებებს.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, უნარ-ჩვევების დეფიციტი გამოწვეულია იმით, რომ ადამიანები არ ირჩევენ შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამის სპეციალობას, მნიშვნელობა არ აქვს საუბარია საშუალო, თუ უმაღლეს განათლებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნივერსიტეტში ჩაბარებისას ისინი ირჩევენ ისეთ სპეციალობებს, რომელსაც შრომის ბაზარი ვერ

აითვისებს. ეს წარმოშობს კითხვას, თუ რატომ აგრძელებენ ადამიანები ასეთი სპეციალობების არჩევას. ამ კითხვაზე სხვადასხვა პასუხის გაცემა შეიძლება, ერთ-ერთი მათგანია ის, რომ აბიტურიენტებს შესაძლოა არ გააჩნდეთ ინფორმაცია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების მქონე პირთა რიცხვი სულ უფრო იზრდება, მათ დიდ ნაწილს არ აქვთ დამსაქმებლისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. ეს მეტყველებს პრობლემებზე მთელ საგანმანათლებლო სისტემაში. ერთი მხრივ უმაღლესი სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფენ იმ საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომლებიც დასაქმებისთვის არის აუცილებელი და მეორე, შეიმჩნევა საშუალო განათლების სისტემის ჩავარდნა (Machin, McNally 2007).

მეორე მხრივ შრომის ბაზარზე მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს შრომაზე მოთხოვნა. ვინაიდან, სწორედ ზოგიერთ პროფესიაზე მოთხოვნის არარსებობა განაპირობებს უმუშევრობის ერთ-ერთ ტიპს, სტრუქტურულ უმუშევრობას; ანუ უმუშევრობას, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სამუშაო ძალის ზოგიერთ ბაზარზე არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა საკმარისი არ არის სამუშაოს ყველა მსურველის დასაკმაყოფილებლად (დუშუაშვილი, 2015). ასეთ პირობებში შრომის ბაზარი არ აძლევს ყველა მსურველს დასაქმების შესაძლებლობას და ამიტომაც უიმედოდ სამუშაოს ძიების ნაცვლად ახალგაზრდათა დიდი ნაწილი უმაღლესში აბარებს და კიდევ ერთ ახალ პროფესიას ეუფლება. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესაძლოა აბიტურიენტთა ნაწილი უმაღლესში სკოლის დამთავრებისთანავე არ ჩააბარებდა, რომ იყოს მეტი სამუშაო ადგილი.

მეთოდოლოგია

სტატისის წერისას გამოვიყენეთ რამდენიმე კვლევა და ასევე თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგები. კვლევებს შორის აღსანიშნავია 2015 წელს კომპანია „ეისითის“ მიერ ჩატარებული კვლევა. ამავდროულად ჩავატარეთ 6 სიდრმისეული ინტერვიუ აბიტურიენტებთან, რათა დაგვედგინა ის მოტივები და მიზეზები, რომლებიც განაპირობებს მათ არჩევანს სკოლის დამთავრების შემდეგ.

ამასთანავე კვლევის პროცესში უმაღლეს სასწავლებლებსა და შრომის ბაზრის ურთიერთობებზე მსჯელობისას მოვიშველიეთ ბეკერის ადამიანური კაპიტალის თეორია. (ბეკერი, 1993). უმაღლესი განათლების მიღების პროცესი ძვირია. თეორიულად, ქვეყნებში, რომლებიც დაბალი შემოსავლებით გამოირჩევიან, უმაღლესი განათლება მიიჩნევა, როგორც ფინანსური მოგების, ფინანსური უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

კვლევის მიზანია საგანმანათლებლო პრეფერენციებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შეუთავსებლობის გამოვლენა საქართველოში.

საკვლევი კითხვებია:

- თავსებადია, თუ არა შრომის ბაზარი და განათლების სისტემა?

- რატომ არის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გადაჭარბებული რაოდენობა ბაზარზე?
- სჭირდება კი შრომის ბაზარს ამდენი უმაღლესის კურსდამთავრებული?
- ხომ არ არის შეუსაბამობა სამუშაო ბაზარზე არსებულ ადგილებსა და კადრების კვალიფიკაციას შორის?


ანალიზი

როგორც ჩანს, დღეს საქართველოში ერთ-ერთ მთავარ მწვავე პრობლემას წარმოადგენს უმუშევრობა, რომელიც პოსტსოციალისტურ ხანაში ჩატარებულ მასობრივ გამოკითხვებში სახელმწიფოს წინაშე არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით ყოველთვის ნომერ პირველ პრობლემად სახელდება. ბოლო 9 წლის მონაცემები იხილეთ გრაფიკზე #1). იმ პირობებში, როდესაც მოსახლეობის დასაქმების ადგილები დეფიციტზე საუბრობს, დამსაქმებლები უჩივიან კადრების დაბალკვალიფიკაციას; ეს ტენდენცია კი ვლინდება იმ პირობებში, როდესაც საქართველოში მოსახლეობის 26.7%-ს უმაღლესი, ხოლო 17.4%-ს პროფესიული განათლება აქვს მიღებული (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017). ეს დისბალანსი მიუთითებს იმ შეუთავსებლობაზე, რომელიც ერთი მხრივ შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და მეორე მხრივ მოსახლეობის ფორმალურ კვალიფიკაციას, პროფესიულ პრეფერენციასა და რეალურად დაუფლებულ უნარ-ჩვევებს შორის არსებობს. ჩვენს ქვეყანაში ადამიანები პროფესიულ არჩევანს სკოლის დამთავრებისთანავე აკეთებენ. ძირითადად ეს არჩევანი ორიენტირებულია ხოლმე უმაღლესი განათლების მიღებაზე. სწორედ ეს არის ქვეყნის ერთ-ერთი პრობლემა, რომ უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა და უნარებისა. პროფესიული განათლების მიღებაზე კი სკოლის დამთავრების შემდეგ ცოტა ადამიანი ფიქრობს. ხშირად მთელი საზოგადოება, ოჯახი, გარემო გავლენას ახდენს ახალგაზრდების კარიერულ გადაწყვეტილებებზე უფრო მეტიც, ზოგჯერ ოჯახის წევრები პირდაპირ უთითებენ მათ, თუ როგორი პროფესიული არჩევანი გააკეთონ და რა არის მათთვის უმჯობესი.

რატომ აკეთებენ ადამიანები მასობრივად ამ არჩევანს? რატომ არის უნივერსიტეტში ჩაბარება ყველა მე-12 კლასელის მიზანი მიუხედავად მათი სურვილის, ინტერესის, შეხედულებისა და შესაძლებლობებისა. ეს არის გამოწვეული სხვადასხვა მიზეზით: მშობლის, მეგობრის, ახლობლის აზრით, უმაღლესი განათლებით უფრო მარტივია დასაქმება. მათ შესაძლოა არ აქვთ წარმოდგენა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებსა და მათთან დაკავშირებულ შესაძლებლობაზე და ა.შ. ეს როგორც ინდივიდუალურ დონეზე, ისევე საზოგადოების დონეზე ქმნის პრობლემას. მშობლებსა და ოჯახის უფროსი თაობის წარმომადგენელ წევრებს გააჩნიათ სტერეოტიპული დამოკიდებულება უმაღლესი განათლების მიმართ და გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დიპლომის ფლობას, ვიდრე ახალი თაობის წარმომადგენლები. აღნიშნული დამოკიდებულება უფრო მეტად განაპირობებს იმას, რომ სტუდენტი სწავლის პროცესში ორიენტირებულია დაასრულოს სწავლა და მიიღოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობა, ვიდრე ორიენტირებული იყოს სწავლის პროცესზე და პროფესიულ განვითარებაზე. ამავდროულად მრავალი ახალგაზრდის მოსაზრებით, უმაღლესი განათლების მიღება მნიშვნელოვან ფაქტორს

წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების დონეს არც თუ ისე მაღალ შეფასებას აძლევენ, მის მნიშვნელობას, დამსაქმებლების მხრიდან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის მოთხოვნით ხსნიან. ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა აზრით, თუ მოზარდს ხელს უწყობს გონებრივი შესაძლებლობები, მან აუცილებლად უნდა მიიღოს უმაღლესი განათლება, რაც მის მომავალზე, კარიერასა და შემოსავლის ოდენობაზე, მათი გამოცდილებით, დადებითად აისახება. თუმცა, პირად გარემოცვასა და სანაცნობო წრეზე დაყრდნობით თავად სტუდენტებსაც მრავლად მოჰყავდათ მაგალითები იმისა, თუ როგორ შეიძლება უმაღლესი განათლების არმქონე ახალგაზრდა უფრო მეტად განათლებული და ზოგიერთ შემთხვევაში წარმატებულიც იყოს, ვიდრე დიპლომის მქონე, თუნდაც პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული. ჩვენი ქვეყანა დადგა იმ საშიშროების წინაშე, რომ მას არ ჰყავს ზოგიერთი საჭირო პროფესიის მქონე ადამიანი, რადგან ეს პროფესიები საზოგადოებაში ნაკლები პოპულარობით სარგებლობს, მაგალითად, პროფესია-ვეტერინარი, აგრონომი, შემდუღებელი. ახალგაზრდები 21-ე საუკუნეში მიიჩნევენ, რომ სასურველია უმაღლესი განათლება მიიღონ იმ ადამიანებმა, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი მიზნები, სურვილი და თავად სურთ, რომელიმე კონკრეტულ პროფესიას დაეუფლონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შრომის ბაზარი იღებს არამოტივირებულ და განვითარებაზე ნაკლებად ორიენტირებულ კადრებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში არ არიან დამსაქმებლებისთვის მიმზდველები და საბოლოოდ, მათი პროფესიისგან სრულიად განსხვავებული მიმართულებით ცდილობენ დასაქმებას.

იხილეთ გრაფიკი 1: ქვეყანაში არსებული პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა (%)
 გრაფიკი #1.



წყარო: (კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრი, 2009, 2011, 2013, 2015, 2017).

უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების კიდევ ერთ მიზეზად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის არგუმენტი, რომ უკეთესი განათლების მქონე მუშაკები საქმდებიან უკეთეს პოზიციებზე და უფრო მაღალი ანაზღაურება აქვთ. ეს მოსაზრება დასაბამს იღებს მინსერისა (1958) და ბეკერის (1964) მიერ შემოთავაზებული ინტელექტუალური ტრადიციის შემდეგ, მას ასევე აფართოებს განათლების გავლენა ადამიანის მომავალზე, კერძოდ პენსიაზე გასვლის საკითხი. თუმცა ეს მოსაზრებები აქტუალური იყო მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც განვითარდა სახელფასო პრემიუმის თეორია, აშენფელტერი (1978) და ქარდი (1999). როგორც კი შრომის ბაზრის პირობები გაუარესდა დაისვა შემდეგი ტიპის კითხვა: განათლებაზე მხოლოდ ხელფასის ოდენობაა დამოკიდებული, თუ მას ასევე შეუძლია ინდივიდის დაცვა უმუშევრობისა და უმოქმედობისგან. 1970-იანი წლების ბოლოს აშენფელტერმა და ჰემმა (1979) შეამჩნიეს, რომ განათლების უპირატესობად შეიძლება განიხილოს შემოსავალი და დროის ეფექტი. მოგვიანებით, მაინერმა (1991) უმუშევრობა დაყო ორ კომპონენტად: უმუშევრობის დონედ და უმუშევრობის ხანგრძლივობად. უფრო განათლებულ მუშაკებს აქვთ უკეთესი ალბათობა, რომ იპოვონ შესაფერისი სამუშაო და დიდხანს ჰქონდეთ მასთან კავშირი და ამასთანავე მათ აქვთ ნაკლები რისკი გახდნენ უმუშევრები (კარასიოტოუ პ. 2012). შესაძლოა, რომ უმაღლესში ჩაბარებისას აბიტურიენტები ამ მოსაზრებებსაც ითვალისწინებენ.

მოგვეხსენება, დღეს საქართველოში არსებობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამი ტიპი: ა) უნივერსიტეტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამასა და კვლევით აქტივობებს განათლების სამივე საფეხურზე; ბ) სასწავლო უნივერსიტეტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ს (გარდა სადოქტორო სწავლებისა). სასწავლო უნივერსიტეტს მოეთხოვება მეორე საფეხურის (სამაგისტრო სწავლების) საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელება; გ) კოლეჯი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას. ხშირად აბიტურიენტებს სრულყოფილი ცოდნა არ გააჩნიათ იმ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, რომელსაც ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ესა თუ ის ტიპი. აბიტურიენტმა არ იცის პროგრამის მიზნები, ამოცანები და სილაბუსი და შესაბამისად პრაქტიკულად ბრმად იღებს გადაწყვეტილებას. ამასთანავე, მოგვეხსენება, რომ უნივერსიტეტებში სპეციალობათა დიდი მრავალფეროვნება და აბიტურიენტს არ აქვს ინფორმაცია, თუ რომელი პროგრამის დასრულების შემდეგ რა კვალიფიკაციას მიიღებს, ვინაიდან ეს ინფორმაცია თითოეული უნივერსიტეტის ფაკულტეტის ვებ-გვერდზეა განთავსებული და ზოგჯერ მძიმე მოსაძებნია სკოლადამთავრებულისთვის. რაც შეეხება პროფესიულ სასწავლებლებს, საქართველოში დაახლოებით 70-მდე ავტორიზირებული პროფესიული სასწავლებელია, რომლებზეც ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზეა განთავსებული. ზემოთ აღნიშნულმა მიზეზებმა, იმან, რომ აბიტურიენტების უმრავლესობა კონცენტრირებულია უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ჩაბარებაზე და დიპლომის მიღებაზე, წამოჭრა ის პრობლემა, რომ ნაკლები ადამიანი აბარებს პროფესიულ სასწავლებელში და შედეგად ვუჩივით რიგი კადრების ნაკლებობას. მაშინ, როდესაც ზოგიერთი „პრესტიჟული“ პროფესიის მქონე ადამიანთა რიცხვი საჭიროზე ბევრად მეტია, რის

შედეგადაც იზრდება უმუშევართა დონე და უნივერსიტეტების დამთავრების შემდეგ ამ პროფესიის მქონე ადამიანები ან საერთოდ ვერ საქმდებიან, ან ვერ საქმდებიან საკუთარი პროფესიით და შემდეგ იწყებენ გადამზადების კურსებს, ან პროფესიული განათლების პროგრამებზე დაფიქრებას. სწორედ აღნიშნული იწვევს იმას, რომ ქვეყანას სჭირდება კონკრეტული პროფესიების მქონე ადამიანების საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მოძიება, ჩამოყვანა და დასაქმება მაშინ, როცა პოტენციური კადრები საქართველოშიც არის. ეს ეხება ძირითადად თურქ და ჩინელ მუშახელს. 2015 წლის ზაფხულიდან, მუშახელის უცხოეთიდან შემოყვანას შრომითი მიგრაციის შესახებ კანონი არეგულირებს. პარლამენტში წარდგენილი შრომითი მიგრაციის შესახებ კანონპროექტის თანახმად, ადგილობრივი დამსაქმებელი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადგილობრივ ბაზარზე დაქირავებული კადრები, არასათანადო კვალიფიკაციის გამო, სამუშაოს სათანადოდ ვერ ასრულებენ და ამიტომ უცხოეთიდან სურს კვალიფიციური კადრების ჩამოყვანა, ვალდებულია, არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია ჯანდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგინოს და იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო 7 დღის ვადაში ვერ მოიძიებს მოთხოვნის შესაბამის ადგილობრივ კადრს, მაშინ დამსაქმებლის მოთხოვნა რეგისტრირებულად მიიჩნევა. მთავრობის მიერ ინიცირებული ეს კანონპროექტი იურიდიულ საკითხთა კომიტეტზე ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ, დავით ლომიძემ წარადგინა და მას პირველი მოსმენით მხარი დაუჭირეს. (შრომითი მიგრაციის შესახებ კანონპროექტი, 2015)

ქვეყნისთვის რეალურად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ადამიანებმა შესაძლოა იციან კიდევ, რომ პროფესიულ სასწავლებელში მიღებული განათლებით სავსებით შესაძლებელია უფრო მეტი შრომითი ანაზღაურების მიღება, ვიდრე ეს უმაღლესდამთავრებულებს გააჩნიათ, უბრალოდ მათთვის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი კვლავაც უფრო მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. შეგვიძლია თავისუფლად ვთქვათ, რომ სამუშაო ბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს აცდენილია. ბიზნესის თითქმის ყველა სფეროში მიდის საუბარი, რომ სჭირდებათ კადრები და ვერ შოულობენ. ხშირად საჭიროა პროფესიული განათლება, რომელიც სკოლის მოსწავლეებში პრესტიჟული არ არის, რაც უპირველეს ყოვლისა ინფორმაციის ნაკლებობითაა გამოწვეული. ამავდროულად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი არ არის. მაგალითად, თუ აბიტურიენტს არ აქვს დედაქალაქში ცხოვრების შესაძლებლობა, მას არ აქვს საშუალება ისწავლოს თავის რაიონში, რადგან ან ფიზიკურად არ არსებობს კოლეჯი ან თუ არსებობს, ძალიან შორსაა. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონებში შესაძლოა იყოს კერძო კოლეჯები, ყველა რეგიონში ისინი არ ფუნქციონირებს და იქაც, სადაც არის, ამ დაწესებულებებს არა აქვთ პროფესიული პროგრამების დიდი არჩევანი, რადგან შესაბამისი სასწავლო რესურსი არ გააჩნიათ. ასევე, რაც ყველაზე მთავარია, სახელმწიფომ ორი წლის წინ უარი თქვა პროფესიული სტუდენტების დაფინანსებაზე კერძო კოლეჯებში, შესაბამისად უსახსრობის გამო რეგიონებში აბიტურიენტებს არ შეუძლიათ, სწავლა. ეს გახლავთ ის ფაქტორები, რომლებიც პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვნად აფერხებს საქართველოში (ნადირაძე, 2015).

პროფესიულ სასწავლებლებთან, კომპანიების თანამშრომლობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ორმხრივი შეთანხმება პროფესიულ სასწავლებელსა და კერძო ფირმებს შორის.

პროფესიული განათლება აუცილებელია როგორც მოქალაქეთათვის, ისე ქვეყნის აღმშენებლობისთვის. სახელმწიფოს განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, ყველა სპეციალობის კვალიფიციური კადრის არსებობა.

2007 წელს ამოქმედდა "პროფესიული განათლების შესახებ" კანონი, რომელშიც მოგვიანებით ცვლილებები განხორციელდა და 2010 წლიდან ევროკავშირის დახმარებითა და იმდროინდელი პოლიტიკის გათვალისწინებით უფრო გააქტიურდა პროფესიული განათლების განვითარების პროცესი. შემუშავდა სტანდარტები, დაინერგა ახალი მოთხოვნები ბაზარზე, გაჩნდა ახალი კოლეჯები. პროფესიული განათლების შესახებ კანონში განსაზღვრულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა კოლეჯებში, სკოლებში პარალელურად პროფესიული პროგრამების შეტანა, კოლეჯებში არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირისათვის სწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რასაც ევროპის ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. (კაპანაძე ს; მალაკელიძე მ; პოლიტიკის დოკუმენტი, თბილისი, 2014, Grass გვ.6)

მთავრობამ პროფესიული განათლების განვითარების გეგმა განსაზღვრა, დამტკიცდა "პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები)", რომელშიც ნათლად არის ასახული პროფესიული განათლების წინაშე არსებული გამოწვევები, ასევე მათი გადაჭრის გზები. გეგმა მოიცავს მოკლე და საშუალოვადიან ღონისძიებებს. განსაზღვრულია რეკომენდაცია: ორ წელიწადში ერთხელ (განსაკუთრებით 2015 წლიდან) ამ გეგმის შეფასება (საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, 2010) .

ნინო დურგლიშვილის სამეცნიერო ნაშრომში „უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებსა და შრომით ბაზარს შორის არსებული გაუცხოება. საქართველოს მაგალითი“ აქტიურად განიხილება ის საკითხი, რომ საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებზე მოთხოვნა არ შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. უამრავი კურსდამთავრებული არ მუშაობს თავისი პროფესიით, დამსაქმებლები ჩივიან სამსახურის მაძიებელთა არაპროფესიონალობის გამო. ჩვენს ქვეყანაში სტუდენტების დამოკიდებულება უნივერსიტეტის მიმართ დადებითია, მაგრამ როგორც კი ისინი სამსახურის მაძიებლები ხდებიან მათი დამოკიდებულება იცვლება ნეგატიურისკენ. როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი იუწყებოდა, 2016 წელს 45 000-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა საქართველოს მასშტაბით სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში, უნივერსიტეტში ჩაბარება 40 000-მა ახალგაზრდამ მოისურვა (დურგლიშვილი, 2018).

განათლების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, ყოველწლიურად გამოსაშვებ გამოცდებში 45 ათასზე მეტი მოსწავლე მონაწილეობს. პირველადი რეგისტრაციით ყოველ წელს დაახლოებით 40-დან 41 ათასამდე რეგისტრირდება. 2018 წლის ეროვნული გამოცდებისათვის 40 500-მდე აბიტურიენტი დარეგისტრირდა (თაბუკაშვილი, 2018). 2017 წელს ეს მონაცემი 37 300-ს აჭარბებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტთა რიცხვი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგრძნობლად გაიზარდა. თუ 2011 წელს ის 95 ათასზე მეტი იყო, 2017 წელს მან 143 ათასს გადააჭარბა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017). იხილეთ გრაფიკი #2.


გრაფიკი #2.

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ათასი	568.5	559.4	553.0	554.0	553.9	564.7	575.2
სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ათასი	95.1	109.5	117.7	124.2	132.9	140.3	143.8
დოქტორანტების რაოდენობა, ერთეული	4266	3040	3213	3410	3765	4076	3977

წყარო: (სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2011, 2012, 2013, 2014, 2015, 2016, 2017).

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ განსაკუთრებით გაიზარდა სტუდენტთა რაოდენობა კერძო უმაღლეს სასწავლებლებში. თუ 2014 წელს, კერძო უმაღლეს სასწავლებლებში 34 000 სტუდენტი სწავლობდა, სულ რაღაც ოთხ წელიწადში ეს რიცხვი 50 000-ს გაუტოლდა. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018) იხილეთ გრაფიკი #3.

გრაფიკი #3.



წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოში 2016 წელს უმუშევრობა შეადგენდა 14%-ს. 2017 წელს ის 13,9 შეადგენდა, ანუ უმუშევარი იყო 276,4 ათასი კაცი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017). იხილეთ გრაფიკი #4.

გრაფიკი #4


	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
უმუშევარი, ათასი კაცი	299.7	293.9	331.4	347.4	360.8	343.1	344.8	345.1	335.2	290.2	284.2	278.9	276.4
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	15.1	15.4	17.4	17.9	18.3	17.4	17.3	17.2	16.9	14.6	14.1	14.0	13.9

წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2005, 2006, 2007, 2008, 2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014, 2015, 2016, 2017).

აქვეა დასაბუთებული ის, თუ ვინ მიიჩნევა დასაქმებულად. დასაქმებულად მიიჩნევა ის ადამიანი, რომელიც მუშაობს კერძო და საჯარო სექტორში და იღებს ხელფასს, ასევე ის ადამიანი, რომელიც მუშაობს სახლში, არის თვითდასაქმებული. არ არის აუცილებელი, რომ ადამიანს ჰქონდეს ხანგრძლივი შრომითი კონტრაქტი, ან ვინმეს მიერ იყო დაქირავებული, ის მაინც დასაქმებულად მიიჩნევა. თუ დასაქმებულის ამ განმარტებას დავეყრდნობით, დასაქმებულთა რიცხვი საქართველოში არის 59.5%, დასაქმებულების 58% არის თვითდასაქმებული და დაკავებულია სოფლის მეურნეობით.

გლობალური კონკურენტუნარიანობის 2014–2015 წლის რეიტინგის მიხედვით, ბიზნეს ლიდერების და ინვესტორების უმრავლესობა (21%) საქართველოში ბიზნესის ხელისშემშლელ მთავარ ფაქტორად სამუშაო ძალის არაკვალიფიციურობას ასახელებს. გასული წლის რეიტინგში იგივე პრობლემა 14%-ის მიერ იყო დასახელებული. ქართულ ბაზარზე ერთგვარ პარადოქსს აქვს ადგილი. (ლექვიანაძე, 2015) ერთი მხრივ, არსებობს მაღალი მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე, მეორე მხრივ, არსებობს ჭარბი სამუშაო ძალა და მთავარი პრობლემა სწორედ არასათანადო კვალიფიკაციაა. ილიაუნის ბიზნეს სკოლის მიერ დეკემბერ–თებერვალში გამოქვეყნებული ვაკანსიების საფუძველზე ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების ჩამონათვალი იქნა გამოკვლეული. კვლევის შედეგებით ყველაზე მაღალი მოთხოვნა ფინანსისტებზე და საკრედიტო ექსპერტებზეა (20.1%), ასევე მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება გაყიდვების მენეჯერებზე (18.5%). სხვა პროფესიებზე მოთხოვნას კი შემდეგი სურათი აქვს – ტექნიკური პერსონალი – 13.2%; ექიმი/სამედიცინო პერსონალი – 9.7%; დისტრიბუცია/ვაჭრობა – 8%; აიტი სფეროს მენეჯერი – 7.4%; სხვადასხვა სფეროს მენეჯერი – 7.2%; მასწავლებელი ტრენერი კონსულტანტი – 6.4%; ტუროპერატორი – 3.5%; მარკეტინგი – 3.1%; იურისტი – 1.9%; ინჟინერი –1%. ყველაზე დიდი მოთხოვნა ფიქსირდება შემდეგ სექტორებში – საბანკო–საფინანსო სექტორი – 26%, საცალო ვაჭრობა – 18%, სამედიცინო სექტორი/ფარმაცია – 15%, სასტუმრო/რესტორანი/ტურიზმი –17%, კომუნიკაციები/ტრანსპორტი – 9%, მშენებლობა – 5%, საგანმანათლებლო ორგანიზაციები – 7%, მედია – 1%, კვების და სასმელების ინდუსტრია – 2%; რეგიონების მიხედვით მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება: თბილისი – 77%, იმერეთი – 5%, აჭარა – 4%; კახეთი – 3%, შიდა ქართლი – 2.5%, სამეგრელო – 3%, ქვემო ქართლი – 2.5%, სამცხე–ჯავახეთი – 2%, გურია – 1%. (იხილეთ გრაფიკი#5)

გრაფიკი #5



წყარო: (“შრომის ბაზარი საქართველოში“Forbes.ge 2015)

საქართველოში ყველაზე მაღალანაზღაურებად სექტორად კვლავ ფინანსური საქმიანობა და სახელმწიფო მმართველობა რჩება, ტრადიციულად ყველაზე დაბალი შემოსავლები განათლების სექტორშია. უმუშევრობის დონე მამაკაცებში უფრო მაღალი მაჩვენებლით ფიქსირდება (16.5%), ვიდრე ქალებში (12.3%), რაც ქალების შედარებით ნაკლები აქტიურობით შეიძლება ავსხნათ. გარდა ამისა ქალების შრომის ანაზღაურება 36%-ით ჩამორჩება მამაკაცების საშუალო ხელფასს (ლექვიანაძე, 2015).

საქართველოში ძალიან მაღალია იმედაკარგული მუშახელის წილი, ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც ვერ იმოვეს სამსახური, ვერ დასაქმდნენ და ხელი ჩაიქნიეს. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ახალგაზრდებში (15–დან 30 წლამდე) უმუშევრობის მაჩვენებელი უფრო მაღალია (34%) ვიდრე 45 წელს გადაცილებულ ადამიანებში (8%). (ლექვიანაძე, 2015) ახალგაზრდები სამსახურს აქტიურად ეძებენ, 45 წელს გადაცილებული ადამიანები კი იშვიათად, რადგან მათ სამსახურის შოვნის იმედი გადაწურული აქვთ. საქართველოში უმუშევართა თითქმის 1/3 უმაღლესი განათლება აქვს. ეს განპირობებულია როგორც მოსახლეობის მაღალი საგანმანათლებლო ცენზით (უმაღლესი განათლების მქონე პირთა დიდი წილი მოსახლეობაში) და შრომის პირობებისადმი გაზრდილი მოთხოვნებითა და მოლოდინებით, ისე სამუშაო ძალის მოთხოვნა–მიწოდებას შორის არსებული სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსით. რიგი სპეციალობების უმაღლესი განათლების მქონე კადრების ჭარბწარმოებით, სპეციალობით დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდვით. აღნიშნული მიზეზები ახალგაზრდებს შორის მაღალი უმუშევრობის განმაპირობებელ გარემოებადაც გვევლინება. ოფიციალური სტატისტიკით, ქალაქში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. რაც დათვლის არასწორ მეთოდულაზე მიუთითებს და არ ასახავს

რეალურ სურათს. ეკონომიკურად აქტიურ ქალაქებში უმუშევრობა ბუნებრივად მაღალია, სოფლად კიდევ უფრო მეტი რაოდენობა ფიქსირდება, თუ არ ჩავთვლით მეთოდის, რომლის მიხედვითაც 1 ჰა მიწის მფლობელი ითვლება დასაქმებულად. ბოლო წლებში პოზიტიური დინამიკის მიუხედავად მცირეა პრეცედენტები, როდესაც ხდება ბიზნესისა და უნივერსიტეტების კოოპერაცია სამუშაო ძალის მოზიდვის ნაწილში. უნივერსიტეტის დამთავრებულს პრაქტიკულად ხელახლა სჭირდება გადამზადება, უნივერსიტეტების უმრავლესობაში ნაკლებად არიან მოწვეულნი ლექტორებად ბიზნესიდან პრაქტიკოსები, რომლებიც თეორიის გარდა საჭირო უნარჩვევებს გადასცემენ სტუდენტებს, ასევე მზადყოფნას გამოთქვამენ პრაქტიკაზე და სამუშაოზე მიიწვიონ სტუდენტები. სასწავლო პროგრამებში პრაქტიკულად არ არის მეწარმეობაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები, რომლებიც სტუდენტებს ცოდნასთან ერთად უვითარებს სამეწარმეო უნარ-ჩვევებს. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის მიხედვით საქართველო შრომის ბაზრის ეფექტურობის მიხედვით 144 ქვეყანას შორის 41-ე პოზიციაზეა. ამ მაჩვენებლით რეგიონში ჩამოვრჩებით ყაზახეთსა და აზერბაიჯანს და ვუსწრებთ რუსეთს, სომხეთს, უკრაინასა და თურქეთს. შრომის ბაზრის ეფექტურობის 10 კომპონენტიდან საუკეთესო პოზიციები გვაქვს, მუშახელის შემცირების ხარჯების, მუშახელის დაქირავების და დათხოვნის პრაქტიკაში. უარესი პოზიციების ტალანტების მოზიდვა და შენარჩუნება (ლექცინაძე, 2015).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული პოსტსაბჭოური სისტემის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნის მიზნით ბოლო ათწლეულის მანძილზე არაერთი რეფორმა განხორციელდა. პირველი ინტერვენციების გარკვეული დადებითი შედეგების მიუხედავად შემდგომი არათანამიმდევრული პოლიტიკისა და სფეროს არასათანადო დაფინანსების პირობებში სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაწყებული ცვლილებების წარმატებით დასრულება და სისტემის მუდმივი განვითარება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსება მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ასე ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს. განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების წილი 2012 წლის მონაცემებით მთლიანი შიდა პროდუქტის 2.8%-ს შეადგენდა, რაც დაბალია მსგავსი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებთან შედარებით.

უფრო მკაფიო სურათს მივიღებთ, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის წილს მშპ-სთან მიმართებით: ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნება. ქვეყანაში ეკონომიკის ზრდასთან ერთად იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებიც. ერთ სულზე მშპ 2000 წლიდან 2011 წლამდე 690 აშშ დოლარიდან 3215 აშშ დოლარამდე გაიზარდა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები კი - 12%-დან 32%-მდე. 2005-2009 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მშპ-სთან მიმართებით აღემატებოდა ეკონომიკური განვითარებისა და 2009 წ. აზერბაიჯანის (15%-თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნების საშუალო, ასევე ყაზახეთის (17% 2009 წ.) იმავე მაჩვენებლებს, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფო ბიუჯეტში - 2008 წ. და სომხეთის 24% - განათლების წილი 2000 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში 11.7 %-იდან 8.3%-მდე დაეცა. ქვეყნები, რომელთა სახელმწიფო დანახარჯები საქართველოსას უტოლდება, საშუალოდ, დაახლოებით ორჯერ მეტს ხარჯავენ განათლებაზე. მაგალითისათვის, ლატვიასა და ესტონეთში ასევე საშუალოზე საქართველოში, მაგრამ-

ესტონეთში და 29% – ლატვიაში, 31% – მაღალია სახელმწიფო დანახარჯები (29% საქართველოში განათლებაზე დანახარჯების წილი მშპ-სთან მიმართებით 2.9%-ია, ლატვიასა და ესტონეთში კი – 5.7%. (განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, 2013).

უმაღლესი განათლების მიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა კავშირის პერიოდში. საქართველოში 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამდე განათლების სისტემაში კორუფცია მძვინვარებდა. განსაკუთრებით მწვავე იყო სიტუაცია გასული საუკუნის 90-იან წლებში ეს კი გულისხმობდა იმას, რომ მაღალი სოციალური და ეკონომიკური პოზიცია დამოკიდებული იყო არა განათლებასა და ცოდნაზე, არამედ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომზე. 2005 წელს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით მისაღები გამოცდების ძველი, საბჭოური სისტემა ახლით შეიცვალა. მისაღები გამოცდების ახალი მოდელის დანერგვა დღემდე ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეფორმად ითვლება ქვეყანაში. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული და დანერგილი მოდელი შეფასების სამართლიან, გამჭვირვალე, უნიფიცირებულ, მერიტოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული სისტემაა. დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ კორუფცია განათლების სისტემაში აღარ არსებობს და შესაძლოა ვთქვათ, რომ გართულდა ჩაბარების პროცესიც, ვინაიდან აბიტურიენტებს უწევთ 4 სავალდებულო გამოცდის ჩაბარება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალგაზრდების სურვილი, რომ ჩააბარონ უმაღლეს სასწავლებელში არ მცირდება. გამოდის, რომ სოციალური სიტუაცია და ნორმები მაინც უბიძგებს ბევრ ახალგაზრდას იმისკენ, რომ ჩააბაროს უმაღლეს სასწავლებელში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2015-2016 წელს ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებთან კვლევა (2016 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში, Tracer study), რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ფოკუს ჯგუფები და პირისპირი ინტერვიუები. სულ იყო 15 ფოკუს ჯგუფი, რომლებშიც 8-12 რესპოდენენტი იღებდა მონაწილეობას და თითოეული მათგანი საშუალოდ 2-2.5 საათი გაგრძელდა. კვლევის ჩატარებისას დადგინდა, რომ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემთხვევაში დასაქმების შანსები არ არის მაღალი, მაგრამ მისთვის, ვინც საერთოდ არ აბარებს უნივერსიტეტში, შანსები ბევრად ნაკლებია. კურსდამთავრებულის შემოსავალიც არ არის მაღალი, მაგრამ იმასთან შედარებით, ვინც არ ისწავლა უმაღლესში, მეტია. სტუდენტობა და დიპლომის აღება დაკავშირებულია სოციალურ პრივილეგიებთან, სარგებელთან: იზრდება სოციალური კაპიტალი, სტუდენტები იძენენ გავლენიან მეგობრებსა და ნაცნობებს, პიროვნული განვითარება და ა.შ. სწორედ ამ ფაქტების დამსახურებით, სკოლადამთავრებული ახალგაზრდები ამჯობინებენ და უპირატესობას ანიჭებენ ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებლებს. მათ უმრავლესობას ხელი არ მიუწვდება ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებზე, რაც სხვადასხვა ფაქტორითაა გამოწვეული: ფინანსების ნაკლებობა, ენობრივი ბარიერი, დამოუკიდებლად ცხოვრების გამოუცდელიობა.

პრობლემა კვლავაც მწვავეა. შრომის ბაზარი ცდილობს და ეძებს გზებს, რომ ეს სიტუაცია შეცვალოს, ამისთვის ატარებენ ტრენინგებს და ადგილობრივად ცდილობენ დასაქმებულებისთვის


ცოდნის ამაღლებას. დამსაქმებელი ცდილობს, რომ დააკომპლექტოს მომსახურე პერსონალი და არა ეძებოს ისინი, რაც ამცირებს სამუშაო ადგილებს პროფესიონალებისთვის. მეორე მხრივ, დაუსაქმებლობის პრობლემა გავლენას ახდენს და უარყოფით ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდებზე. მათ აღარ აქვთ სწავლის მოტივაცია და ვერ ხედავენ საკუთარ საქმეში აუცილებელი კომპეტენციის შეძენის აზრს, ვინაიდან ვაკანტური ადგილები ბაზარზე მაინც არ არის. თანაც ცნობილია, რომ უნივერსიტეტის დიპლომის აღება დაბალი ხარისხის სწავლების პროცესშიც შესაძლებელია.

აღნიშნული კვლევის პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ შრომის ბაზარსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის ურთიერთობაში არსებული პრობლემები ძალიან კომპლექსური და ურთიერთდამოკიდებულია.

წყარო: დურგლიშვილი, ნ. „Alienation Between Higher Educational Institutions and Labor Market: A Case Of Georgia”, June 2018, Tbilisi

2015 წელს კომპანია „ეისითიმ“ ჩაატარა კვლევა იმის დასადგენად, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს მოსახლეობას პროფესიული განათლების მიმართ. კვლევით ვიგებთ, რომ მოსახლეობის 88%-ს აქვს გაგონილი პროფესიულ სასწავლებლებთან დაკავშირებით, 12%-ს კი ამის შესახებ არ სმენია.

დიაგრამა #1.




მოსახლეობის დამოკიდებულება პროფესიულ სწავლასთან დაკავშირებით

წყარო: 2015 წლის ეისითის კვლევა

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თბილისზე მეტად პროფესიული საქმიანობების შესახებ ინფორმაცია აქვთ გურიაში, იმერეთში, აჭარაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, რაჭა ლეჩხუმსა და კახეთში მცხოვრებ ადამიანებს. მოსახლეობის ახალგაზრდობის (18-24) უმრავლესობამ (91%) იცის პროფესიული სასწავლებლების შესახებ ისევე, როგორც საშუალო ასაკის (35-54) ადამიანთა 92%-მა. მოსახლეობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ინფორმაციას იგებს უმეტესად ტელევიზიიდან (62%), ინტერნეტიდან (37%), და სხვა ტიპის საინფორმაციო წყაროებიდან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობის მეოთხედ ნაწილს, დაახლოებით 17%-ს აქვს პროფესიული განათლება მიღებული. რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ პროფესიული განათლება მათ დაეხმარა ზოგად ცხოვრებაში (66%), რესპონდენტთა 53%-ისთვის პროფესიული განათლება მათ დაეხმარა პროფესიულ საქმიანობაში. კვლევების შედეგები ცხადყოფს, რომ მოსახლეობის 49% თავის განათლების შესაბამის სფეროში არის დასაქმებული, დანარჩენი 51% მიიჩნევს, რომ მათი საქმიანობა მათ ძირითადი განათლების შეუსაბამოა. როგორც „ეისითის“ კვლევებიდან ჩანს, პროფესიულ სასწავლებლებში სწავლა უმეტესად სახელმწიფოს მხრიდანაა დაფინანსებული, რომელიც რეგიონების მიხედვით დაფინანსების წილი შემდეგნაირად ნაწილდება: თბილისი 69%, კახეთი 85%, ქვემო ქართლი 70%, მცხეთა-მთიანეთი 72%, შიდა ქართლი 87%, სამცხე-ჯავახეთი 64%, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი 90%, იმერეთი 81%, გურია 80%, სამეგრელო-ზემო სვანეთი 72%, აჭარა 86%. ზემოთ აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლები ასახავს იმას, რომ სახელმწიფო ორიენტირებულია პროფესიული სასწავლებლების პრესტიჟის ზრდაზე და მზადაა, დააფინანსოს პროფესიულ სასწავლებლებში სწავლების მსურველები სრული დაფინანსებით. საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა (76%) მიიჩნევს, რომ პროფესიულ სასწავლებლებში სწავლის დაფინანსებას მთლიანად უნდა ახორციელებდეს სახელმწიფო, რასაც უზრუნველყოფენ კიდევ სამთავრობო უწყებები. კვლევებმა ცხადყო, რომ პროფესიულ განათლებას პრესტიჟულად მიიჩნევენ 65 წლისა და უფრო დიდი ასაკის ადამიანები, რაც შეეხება ახალგაზრდებს, 18-24 წლის ადამიანებს, ისინი მიიჩნევენ, რომ პროფესიული განათლება არ არის პრესტიჟული. აღსანიშნავია, რომ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები ძირითადად ვერ იღებენ უმაღლეს განათლებას, რადგან ეს გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ხოლო პროფესიული სასწავლებლებში მოწყობის შანსები უფრო მეტია და თან მოქმედებს სახელმწიფოს დაფინანსება, რომლის მოპოვება ისეთი რთული არ არის, როგორც საუნივერსიტეტო დაფინანსების და არც ძალიან რთულ მომზადებას საჭიროებს. ამავდროულად პროფესიული კოლეჯის მეშვეობით პროფესიას თვეებში, მაქსიმუმ წელიწადში ეუფლები მაშინ, როცა უნივერსიტეტში სწავლა 4 წელიწადი გრძელდება. შესაბამისად, უმეტესად დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს განათლების მიღებისთვისა და დასაქმებისთვის უკეთეს გამოსავლად სწორედ პროფესიული სასწავლებლები ესახებათ. ხოლო შედარებით შეძლებული ოჯახებისთვის პროფესიული განათლება არ არის პრესტიჟული. მათ მეტი შესაძლებლობებიც გააჩნიათ და შესაბამისად უმაღლეს სასწავლებლებს ანიჭებენ უპირატესობას. რეგიონების მიხედვით თუ განვსაზღვრავთ პროფესიული სასწავლებლების პრესტიჟულობის დონეს, ასეთ სურათს მივიღებთ: კახეთის მოსახლეობის 72%, მცხეთა-მთიანეთის - 64%, რაჭა-ლეჩხუმი-ზემო სვანეთის - 68%, გურიის - 78% და აჭარის - 74% პროფესიულ განათლებას მიიჩნევს პრესტიჟულად. აღნიშნული ვითარება განსხვავდება დედაქალაქში, სადაც პრესტიჟულად აფასებს თბილისის მოსახლეობის 35%, ასევე მსგავსი შედეგებია შიდა ქართლში - 32%, სამცხე-ჯავახეთსა და იმერეთის მოსახლეობაში (30%).

გრაფიკი #6.



პროფესიული სასწავლებლების პრესტიჟულობის დონე

წყარო: „2015 წლის ეისითის კვლევა“

ჩვენი აზრით, დედაქალაქში პროფესიული განათლების პრესტიჟი უნდა გაიზარდოს. ვინაიდან სწორედ აქ არის კონცენტრირებული ქვეყნის ახალგაზრდათა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი. ამიტომ უფრო მეტმა ახალგაზრდამ უნდა მიიღოს პროფესიული განათლება. ამისათვის კი აუცილებელია ჩატარდეს საინფორმაციო კამპანიები, რომლებიც ახალგაზრდებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარების სურვილს გაუღვივებს. პროფესიულ საგანმანათლებლო რეფორმებთან დაკავშირებით ინფორმირებულობის დონე რეგიონების მიხედვით განსხვავდება. მაგალითად, მცხეთა-მთიანეთში მცხოვრები მოსახლეობის 78 %-ს არ სმენია აღნიშნული რეფორმების შესახებ. ასევე კომპანია „ეისითიმ“ ჩაატარა კვლევა დამსაქმებლებთან, გამოიკვლია მათი დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ. გამოკითხული ორგანიზაციების 86% აქვს გარკვეული ინფორმაცია პროფესიული სასწავლებლების შესახებ, მათ შორის 21% აღნიშნავს, რომ კარგად იცნობს პროფესიულ სასწავლებლებს. იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ ინფორმაცია პროფესიულ სასწავლებლებთან დაკავშირებით, არ აღემატება 14%-ს.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც კომპანიები არ თანამშრომლობენ პროფესიულ სასწავლებლებთან. რესპონდენტების 43% მიზეზად ასახელებს იმას, რომ არ სმენია მსგავსი შესაძლებლობის შესახებ. 16% აღნიშნავს, რომ პროფესიული სასწავლებლები არ ამზადებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს. 11% თვლის, რომ ეს კომპანიისთვის ზედმეტი ხარჯია და რომ ვერ ხედავენ რაიმე სარგებელს კომპანიისთვის.

7%-ს მიიჩნევს, რომ კომპანიას ამისთვის სჭირდება დამატებითი რესურსები (კომპიუტერი, ვაკანტური ადგილი და ა.შ.). დასახელდა სხვადასხვა საშუალებები, რომლის მიხედვითაც ეძებენ პროფესიული განათლების მქონე კადრებს დასაქმების მიზნით. „ეისითის“ მიერ ჩატარებულ კვლევაში მონაწილე რესპოდენტების 62%-მა დაასახელა ახლობლები/პირადი კონტაქტების მეშვეობით. თუმცა აღნიშნული დამოკიდებული უნდა იყოს ორგანიზაციის ტიპსა და განვითარების დონეზე. რესპოდენტების 44% მიმართავს ინტერნეტ გვერდებზე განცხადების განთავსებას. ორგანიზაციების 6% ამჯობინებს, ჟურნალ-გაზეთებისა და რადიოს მეშვეობით იპოვოს პროფესიული განათლების მქონე პროფესიონალი კადრი. ორგანიზაციების 4% ურთიერთობს პროფესიულ სასწავლებლებთან. თანამშრომლობის ინიციატორი პროფესიულ სასწავლებელსა და კომპანიას შორის, ძირითადად პროფესიული სასწავლებელი არის ხოლმე, შემდეგ თავად კომპანია, ზოგჯერ ორივე ერთად. დამსაქმებლებმა ასევე შეაფასეს პროფესიული სასწავლებლები, რომლებთანაც მათ შეხება ჰქონდათ. შედარებით მეტი უკმაყოფილება გამოიწვია პროფესიული სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამართულობამ, მას 31 რესპოდენტიდან 9 უარყოფითად აფასებდა. დანარჩენ კრიტერიუმებს, როგორებიცაა მასწავლებლების პროფესიონალიზმი, სასწავლებლის ადმინისტრაციის მოქნილობა და პროგრამების შინაარსი, რესპოდენტების უმრავლესობა დადებითად ან ძალიან დადებითად აფასებს (25-28 რესპოდენტი, 90%). გამოკითხულმა რესპოდენტებმა ასევე შეაფასეს პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულების კვალიფიკაცია. რესპოდენტების 53% აღნიშნავს, რომ პროფესიული სასწავლებლის დიპლომის ფლობა სულაც არ არის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის დამადასტურებელი. რესპოდენტების $\frac{1}{4}$ კი მიიჩნევს, რომ პროფესიული დიპლომი აღნიშნავს კვალიფიკაციას, მიუხედავად იმისა, ეს დიპლომი კერძო თუ სახელმწიფო პროფესიულმა სასწავლებელმა გასცა. რესპოდენტების რაოდენობა, რომლებიც ცალსახად არ ასახელებენ, რომელს აქვს უპირატესობა კვალიფიკაციის თვალსაზრისით სახელმწიფო თუ კერძო პროფესიულ სასწავლებლებს, არ აღემატება 13%-ს. დამსაქმებლების 49% მიიჩნევს, რომ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულები კარგად ფლობს პროფესიას და სჭირდებათ გარკვეული რაოდენობის ტრენინგები მხოლოდ. რესპოდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი - 43% მიიჩნევს, რომ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულები არ ფლობენ კარგად პროფესიას და საჭიროებენ დიდი რაოდენობით ტრენინგების ჩატარებას. დამსაქმებლებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნარ-ჩვევები აკლდათ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებს. გამოკითხულთა 50% საუბრობს იმაზე, რომ პროფესიის შესაბამისი უნარ-ჩვევების ნაკლებობაზე და მიიჩნევს, რომ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებს არ შეუძლიათ დროის მენეჯმენტი და უჭირთ სამუშაო რეჟიმთან ადაპტირება, ამავდროულად მიიჩნევს რომ მათი თეორიული ცოდნა შეუსაბამოა პრაქტიკულ მოთხოვნებთან და სასწავლებლების კურსდამთავრებულებს აქვთ არაადეკვატური ამბიციები. კვლევაში წარმოჭრილია ის საკითხიც, თუ რატომ არის პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დასაქმების დაბალი მაჩვენებელი. რესპოდენტების 59% ამის მიზეზად ასახელებენ ზოგადად სამუშაო ადგილების სიმცირეს, 41% მიიჩნევს, რომ პროფესიულ სასწავლებლებს ნაკლები კავშირი აქვთ შრომის ბაზართან. კვლევის პროცესში მკვლევრებმა შესთავაზეს რესპოდენტებს სახელმწიფოსთან თანამშრომლობის სასურველი ფორმები. გამოკითხულთა უმრავლესობისთვის, მისაღები აღმოჩნდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება

კოლეჯთან ერთად. ასევე ჩატარდა კვლევები, რომლებიც იკვლევდა სტუდენტების დამოკიდებულებას პროფესიული სასწავლებლების მიმართ (პროფესიული სასწავლებლებით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, 2014).

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვისაუბროთ, რომ სტუდენტები კმაყოფილი არიან მათ სასწავლებელში არსებული პროგრამითა და ზოგადად სწავლის პროცესით. რესპონდენტთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ მათი სასწავლო პროგრამის შინაარსი სრულყოფილია და შეესაბამება მათ პროფესიებს, ასევე რომ სასწავლო პროგრამებში თეორიული და პრაქტიკული ნაწილები კარგად არის განაწილებული, სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია და რომ სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა უზრუნველყოფს პროფესიის დაუფლებისთვის საკმარისი ცოდნის ათვისებას. სასწავლებლებში მასწავლებლების ცოდნა, კომპეტენცია საკმაოდ მაღალია. „ეისითის“ კვლევის ფარგლებში სტუდენტებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრება, თუ რა ცვლილებების განხორციელება სურდათ პროფესიულ სასწავლებლებში, რას გამოასწორებდნენ. ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა პროფესიული სასწავლებლების ტერიტორიაზე საკვები ობიექტების არარსებობა, ზოგმა გაუმართავი გათბობის სისტემა, მოძველებული ინფრასტრუქტურა. სტუდენტები ისურვებდნენ უფრო მეტ ღონისძიებებს, პრაქტიკულ სემინარებს, ტრენინგებს, შემეცნებით ღონისძიებებს, პრაქტიკებსა და გაცვლით პროგრამებს.

უშუალოდ ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობდა 6 აბიტურიენტი. ჩვენ მათთან ჩავატარეთ სიღრმისეული ინტერვიუები. გამოვიკითხეთ 3 გოგონა და სამი ვაჟი. გამოკითხულთაგან ყველა აბიტურიენტი იყო 18 წლის, გარდა ერთისა, რომელიც არის 17 წლის. სამი აბიტურიენტი იყო თბილისიდან და თითო რუსთავიდან, ქუთაისიდან და ბათუმიდან. სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად აღმოჩნდა, რომ ჩვენ მიერ გამოკითხული 6-ვე აბიტურიენტი აბარებდა ეროვნულ გამოცდებს და გეგმავდა სწავლის უმაღლეს დაწესებულებაში გაგრძელებას. არც ერთი მათგანი არ განიხილავდა პროფესიულ სასწავლებელს, როგორც სწავლის გაგრძელების ალტერნატივას, მათ შორის ის რესპოდენტიც, რომელსაც ჰქონდა უნივერსიტეტში ვერ ჩაბარების (დაბალი უნარების ქულის გამო) მოლოდინი. რესპოდენტები გამორიცხავდნენ მომავალში, უმაღლეს დაწესებულებაში სწავლის დასრულების შემდეგაც პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას. სიღრმისეული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხულ გოგონებს მეტი ინტერესი ჰქონდათ პროფესიული განათლების ზოგიერთი სპეციალობისადმი, ვაჟებმა ნაკლები ინტერესი გამოხატეს, თუმცა აღნიშნულს ვერ განვაზოგადებთ, ვინაიდან საქმე გვაქვს თვისებრივ კვლევასთან. ინტერვიუების შედეგად, გამოვლინდა, რომ აბიტურიენტთა არჩევანს, უნივერსიტეტში ჩაბარების შესახებ მათი თქმით, განაპირობებს უმაღლეს სასწავლებელში არსებული მიმართულებების პერსპექტიულობა, ასევე მათი და მათი ოჯახის მისწრაფებები, დედის/მამის რჩევა და მშობლების საქმიანობის გაგრძელების სურვილი. გამოკითხული რესპოდენტებიდან მხოლოდ ერთმა დაასახელა საკუთარი არჩევანის მიზეზად დასაქმების მაღალი შანსი. დანარჩენებს ეს ფაქტორი საერთოდ არ უხსენებიათ მთელი ინტერვიუს განმავლობაში. კითხვაზე, ფიქრობენ თუ არა, რომ უნივერსიტეტში ჩაბარება სამსახურის არჩეული პროფესიით დაწყების გარანტიაა, გამოკითხულთა ნახევარი დადებითად პასუხობს. მათ მიაჩნიათ, რომ უნივერსიტეტში ჩაბარება თავისთავად გულისხმობს დასაქმებას არჩეული პროფესიით და 4 წელიწადში საკუთარ თავს ხედავენ აღნიშნულ სფეროში მომუშავედ.

სამ რესპოდენტს კი მიაჩნია, რომ ალბათ, უმაღლესში ჩაბარება არ არის პროფესიით დასაქმების გარანტი და შესაძლოა სწავლის დასრულების შემდეგაც ადამიანი ვერ დასაქმდეს ვერც საკუთარ სფეროში და ვერც საერთოდ შრომის ბაზარზე. გამოკითხულები მიიჩნევენ, რომ ადამიანების თავიანთი პროფესიით ვერ დასაქმებას განაპირობებს მრავალი ფაქტორი და მათ შორის: სამსახურების პრობლემა ქვეყანაში (შესაბამისად უნივერსიტეტში ჩაბარება/ არჩაბარებაზე ვერანაირად ვერ იქნება დამოკიდებული პირის დასაქმება. ვინაიდან თუ არ არის თავისუფალი, ვაკანტური სამუშაო ადგილები განათლების ხარისხსა და დიპლომს მნიშვნელობა ეკარგება). კვლევის შედეგად გამოდის, რომ აბიტურიენტების აზრით, შრომის ბაზარზე არსებული ძირითადი პრობლემა - სამსახურების (სამუშაო ადგილების) ნაკლებობა/ არარსებობაა, თუმცა მიუხედავად ამისა, ისინი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებასა და სწავლას აუცილებლად მიიჩნევენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი დასაქმების შანსები ძალიან მცირეა. დასაქმების მცირე შანსების მიუხედავად, მათ მიაჩნიათ, რომ 4 წელი სწავლა უმაღლეს სასწავლებელში უფრო გამართლებულია, ვიდრე ერთი წელიწადი პროფესიულ სასწავლებელში. ერთ-ერთი რესპოდენტის აზრით, რთულია ერთ წელიწადში საფუძვლიანად დაეუფლო რომელიმე საქმეს, მით უმეტეს მთელი ცხოვრების მოწოდებას- პროფესიას. გამოკითხული რესპოდენტები თანხმდებიან, რომ ქვეყანაში საგანმანათლებლო პრეფერენციებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შესამჩნევი შეუთავსებლობაა. ეს მთელ რიგ სექტორებზე ახდენს გავლენას და ჯამში სახელმწიფოს ფუნქციონირებას საფრთხეს უქადის. მათი აზრით, საგანმანათლებლო პრეფერენციებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შეუთავსებლობას მთელი რიგი მიზეზები იწვევს, მათ შორის: პროფესიის არასწორად არჩევა, შრომის ბაზრის მოთხოვნების არ გათვალისწინება, დასაქმების პრობლემა, ე.წ. „პრესტიჟულ ფაკულტეტებზე“ არსებული მაღალი მოთხოვნა და სხვ.

დასკვნა

განათლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას და მნიშვნელოვან პირობას ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის. შესაბამისად, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლებისა და მეცნიერების სისტემის უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და დეკლარირებულია როგორც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი. ბოლო წლებში განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმირებაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ქვეყანამ გაატარა რიგი რეფორმები, რომლებიც მიმართული იყო პოსტ-საბჭოთა განათლების სისტემის გარდაქმნისა და ახალი სისტემის შექმნისკენ, რაც შესაბამისობაში მოვიდოდა სწრაფად ცვლად მსოფლიო მოთხოვნებთან და საერთაშორისო სარბიელზე კონკურენტუნარიანი იქნებოდა. სიღრმისეული რეფორმების მიუხედავად, ქვეყანაში კვლავ რჩება ბევრი გამოწვევა განათლების და გადამზადების სერვისების ხარისხთან და თანასწორ ხელმისაწვდომობასთან მიმართებით. გამოწვევებს შორის, ასევე იკვეთება ერთ-ერთი მთავარი პრობლემა: საგანმანათლებლო პრეფერენციებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შეუთავსებლობა. საქართველოში არსებული შრომითი ბაზარი ყოველთვის აქტუალურ საკითხად რჩება. ქვეყანაში თითქმის ყველა კვლევის მიხედვით უმუშევრობა უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს, მაშინ, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი უმაღლესი განათლების მქონეა. აღნიშნული მოვლენა დიდწილად განპირობებულია იმით, რომ მოსახლეობა ორიენტირებულია

არა დასაქმებაზე და ისეთი პროფესიის დაუფლებაზე, რომელიც შრომის ბაზარს სჭირდება, არამედ პოპულარულ და პრესტიჟულ პროფესიებზე. ჩვენი აზრით, როდესაც ვსაუბრობთ კვალიფიციური კადრების სიმწირეზე ცალკე პრობლემად უნდა გამოვყოთ ნაკლები ინფორმაციის ქონა მათთვის ვინც აკეთებს პროფესიულ არჩევანს. სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა უმრავლესობისთვის საკმაოდ ბუნდოვანია ის პერსპექტივები თუ წინააღმდეგობები, რაც მათ პროფესიის არჩევის შემთხვევაში ელით. მათი დიდი ნაწილი არჩევანს სხვათა რჩევებზე დაყრდნობით, ან იმის და მიხედვით აკეთებს თუ რამდენად პრესტიჟულია ესა თუ ის მიმართულება. შედეგად ვიღებთ უზარმაზარ ნაკადებს ერთსა და იმავე ფაკულტეტებზე და მეორე მხრივ აბსოლუტურ სიცარიელეს სხვა. ასევე პრიორიტეტულ პროფესიებზე, მათ შორის ხელობაზე, რაც იწვევს შრომითი ბაზრის ერთ ნაწილში განუსაზღვრელად დიდ კონკურენციას და შედეგად ათასობით სამსახურის გარეშე დარჩენილ ადამიანს, ხოლო მეორე ნაწილში კვალიფიციური კადრების უბრალოდ არარსებობას, რაც თავისთავად დიდი პრობლემაა. უფრო მეტიც, საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე პირებთან მიმართებით მოთხოვნა დღეისათვის აჭარბებს მიწოდებას, რაც ეკონომიკისთვის ზიანის მომტანია. მაშინ, როცა ბაზარზე არსებობს მოთხოვნა პროფესიული განათლების მქონე პირებზე. მიუხედავად ამისა სკოლის დამთავრების შემდეგ ცოტა ადამიანი ფიქრობს ხელობის შესწავლაზე, უმრავლესობა როგორც უკვე აღვნიშნეთ უმაღლეს განათლებაზეა ორიენტირებული, მიუხედავად დასაქმების მიზერული შანსებისა. 2007 წელს ამოქმედდა "პროფესიული განათლების შესახებ" კანონი, რომელშიც მოგვიანებით ცვლილებები განხორციელდა და 2010 წლიდან ევროკავშირის დახმარებით და იმდროინდელი პოლიტიკის გათვალისწინებით უფრო გააქტიურდა პროფესიული განათლების განვითარების პროცესი. შემუშავდა სტანდარტები, დაინერგა ახალი მოთხოვნები, ბაზარზე გაჩდა ახალი კოლეჯები, მეტ-ნაკლებად თანაბარ პირობებში ჩადგა კერძო და საჯარო კოლეჯები, თუმცა ამ ყველაფერს სჭირდება განვითარება. აუცილებელია, რომ მოხდეს პროფესიული განათლების სისტემის კიდევ უფრო დახვეწა, პოპულარიზაცია და შრომის ბაზრის საჭიროებებს მორგება. აუცილებლად მივიჩნევთ პრიორიტეტული პროფესიების დადგენას მაგალითად აგრარული პოტენციალის მქონე რეგიონებში აქცენტი ფერმერული მეურნეობის მქონე მოსახლეობისთვის საჭირო ცოდნის და პრაქტიკულად გამოსაყენებად უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე უნდა გაკეთდეს, აგრეთვე გასათვალისწინებელია გადამამუშავებელი წარმოებების ამოქმედებისთვის საჭირო კვალიფიციური კადრების მიზნობრივი მომზადება.

ბიბლიოგრაფია:

ახალგაზრდობის კვლევა 2016 საქართველო *(თაობა გარდამავალ პერიოდში) ფრიდრიხ ებერტის ფონდი გვ.33-37*

განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, 2013. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

დურგლიშვილი, ნ. „*Alienation Between Higher Educational Institutions and Labor Market: A Case Of Georgia*”, June 2018, Tbilisi.

დუშუაშვილი თ. 8.10.2015 „რომელი სექტორია საქართველოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი?“ Forbes.ge

თაბუკაშვილი, ნ. 2018 „2018 წლის ეროვნული გამოცდებისთვის 40 500-მდე აბიტურიენტი დარეგისტრირდა“

კაპანაძე ს; მალაქელიძე მ; პოლიტიკის დოკუმენტი, თბილისი, 2014, Grass გვ.6

კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრი. (2009, 2011, 2013, 2015, 2017). კავკასიის ბარომეტრის საქართველო. თბილისი, საქართველო.

ლეჟინაძე ი. 10.03.2015 „შრომის ბაზარი საქართველოში“ Forbes.ge

ნადირაძე თ. 05.05.2015 „პროფესიული განათლება - პრიორიტეტი, რომელიც იგნორირებულია“. თბილისი, რეზონანსი

პროფესიული სასწავლებლებით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, 2014, თბილისი. <http://mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo> (ბოლოს ნანახია 25.08.2018. 14:00)

სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017 დასაქმება და უმუშევრობა http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo (ბოლოს ნანახია 25.08.2018. 14:00)

საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, 2010 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2017). მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა. თბილისი, საქართველო.

2016 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში, Tracer study, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, თბილისი.

შრომითი მიგრაციის შესახებ კანონპროექტი, 2015 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველო

ASHENFELTER, O. & HAM, J. (1979). "Education, unemployment and earnings" *Journal of Political Economy*, 87(5)

Baker G, "Human Capital" 1993, University of Chicago

Karaitou P. 2012 "Education and the Labour Market"

Machin S. McNally S. Autumn 2007 "Higher Education and the Labour Market".